



საქართველო ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა

1100 ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №106

ტელ: 0(358) 22-29-29; ფაქსი 0(358) 22-25-00

bolnisi municipality@gmail.com

N 11/4347

13/10/2016

4347-11-2-201610131647



„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ ანალიტიკოს

ქვემო ქართლში ქალბატონ მანონ ბოკუჩავას

ქალბატონო მანონ,

ქალაქის ისტორიული უბნის რეაბილიტაციის დაწყება და მათ შორის კირხეს აღდგენის პროპაგანდა რეალურად ემსახურებოდა 2012 წელს არჩევნებში ხალხის მხარდაჭერის მოპოვებას ნაციონალური მოძრაობისათვის.

ამ ყველაფერს ადასტურებს ის რომ:

1. ქალაქ ბოლნისში ისტორიული კირხეს რეაბილიტაცია 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ფიზიკურად ვერ დაიწყებოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კირხეს მრავალჯერ გადაკეთებულ ყოფილ შენობაში რამოდენიმე ათეული წელია უკვე ფუნქციონირებს სპორტული სკოლა. იმისათვის, რომ 2012 წელს კირხეს აღდგენა დაეწყო, პირველ რიგში აუცილებელი იყო ახალი სპორტული კომპლექსის აშენება, რათა მომხდარიყო მოქმედი სპორტსკოლის სექციების გადატანა და შემდეგ დაეწყო კირხეს რეაბილიტაცია. ამისათვის საჭირო იყო მინიმუმ შეეძინათ სპორტსკოლის მუშა პროექტი და თავად კირხეს რეაბილიტაციის პროექტი, რაც არ გაკეთებულა და ეს პროექტები ბუნებაში არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში მუნიციპალიტეტს არ შეუქმნია მაშინ ეს დოკუმენტები და თუ ვინმეს გააჩნია მზად ვართ განვიხილოთ.

2. 2012 წელს დაიწყო გერმანული ისტორიული უბნის მხოლოდ ერთი კვარტლის რეაბილიტაციის სამუშაოები, რაც მოიცავდა მიწისქვეშა კომუნიკაციების (სანიაღვრე ქსელი, სასმელი წყალი, კანალიზაცია) და ქუჩის კეთილმოწყობის (ქვაფენილით მოპირკეთება, გარე განათება) სამუშაოებს. პროექტი იყო მრავალწლიანი და დასრულდა 2013 წლის ბოლოს. 2012 წელს განხორციელდა მხოლოდ მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწყობა 1 676 220 ლარის ღირებულებით, ხოლო 2013 წელს ქუჩის ქვაფენილით მოწყობისა და გარეგანათების სამუშაოები 1 757 730 ლარის ღირებულებით. თავდაპირველი პროექტის ნახვისას საშუალო დონის სპეციალისტისთვისაც ნათელი იქნება, რომ მის განვითარებაზე და დანარჩენი ქუჩების რეაბილიტაციაზე მაშინდელი პროექტის შემკვეთები საერთოდ არ ფიქრობდნენ და ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ფასადურად ბოლნისის მოსახლეობის ხმების მოსაპოვებლად კეთდებოდა. კერძოდ:

ქვაფენილით ქუჩების მოწყობისას ისტორიულ უბანში მდებარე 4 გზაჯვარედინიდან არცერთზე არ იყო მიწისქვეშა კომუნიკაციების სათვალთვალო ჭები ქვაფენილის საფარის ქვეშიდან გაყვანილი ქუჩების გაგრძელებებზე. ეს ნიშნავს, რომ დანარჩენი ქუჩების რეაბილიტაციის დაწყების შემთხვევაში 4-ივე გზაჯვარედინზე დაახლოებით 20-30 მეტრზე შეჭრებზე უნდა მომხდარიყო ახლად მოწყობილი ქვაფენილების აყრა, მიწისქვეშა კომუნიკაციების დაერთება და შემდეგ ქვაფენილის თავიდან მოწყობა, რაც საკმაოდ გააძვირებდა პროექტებს არსებული ქვაფენილის ხელმეორედ მოწყობის ხარჯზე.

2013 წელს მუნიციპალიტეტის გამგეობის მოთხოვნით საპროექტო ორგანიზაციასა და შემსრულებელ ორგანიზაციასთან ერთად განხორციელდა საპროექტო ცვლილებების მთელი რიგი (თავდაპირველი პროექტის ფასადურობიდან და დაბალი ხარისხიდან გამომდინარე) რომლის შედეგადაც ქვაფენილის საფარის გარეთ გატანილი იქნა ყველა მიწისქვეშა კომუნიკაცია (სამელი წყალის, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელები) და ამით განვითარების პერსპექტივა შეექმნათ ამ ერთი კვარტალის მიმდებარე ყველა ისტორიულ ქუჩას.

2015 წელს მუნიციპალიტეტმა მიმდებარე ქუჩებზე განახორციელა სანიაღვრე ქსელების მშენებლობა, რომლის დაერთებაც მოხდა ისტორიული უბნის სანიაღვრის იმ სათვალთვალო ჭაზე, რომელიც ჩვერს მიერ საპროექტო ცვლილების შემდეგ მოეწყო. ამ სანიაღვრე ქსელის მოწყობით ფაქტიურად დანგრევის პირას მყოფი ისტორიული სახლების გადარჩენა მოხდა.

2016 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა იგივე ქუჩებზე საკანალიზაციო ქსელის მოწყობა, რომლის დაერთებებიც განხორციელდა ისტორიული უბნის იმ გზაჯვარედინებთან არსებულ სთვალთვალო ჭებზე, რომელიც ასევე ზემოთ ნახსენები საპროექტო ცვლილების შედეგად მოეწყო.

2016 წელს მუნიციპალიტეტმა მერაბ კოსტავას ქუჩის გაგრძელებაზე, იქ სადაც 2015-2016 წლებში მოვაწყვეთ სანიაღვრის, საკანალიზაციო და სამელი წყალის ახალი ქსელები, განახორციელა ქუჩის ქვაფენილით მოწყობის სამუშაოები. ხოლო ათონის, წმინდა ნინოს, ლადო ასათიანისა და ილია ჭავჭავაძის ქუჩების ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს.

თუ მასშტაბებს შევადარებთ, ის სამუშაოები, რაც წინა ხელისუფლებამ ქალაქ ბოლნისის ისტორიული უბნის რეაბილიტაციისათვის დაგეგმა და განახორციელა (მათ შორის ნახევარზე მეტი ჩვენი ხელისუფლების დროს დასრულდა) წარმოადგენდა ორწლიან პროექტს, 2015-2016 წლებში ჩვენს მიერ ქალაქის განვითარების პერსპექტივის შექმნის შედეგად, მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და ქუჩების მოწყობის სამუშაოები განვახორციელეთ ქალაქის მინიმუმ 7-ჯე მეტ ტერიტორიაზე. ამ სამუშაოების ნაწილი დღესაც მიმდინარეა და მსურველებს შეუძლიათ საკუთარი თვალთა ადგილზე იხილონ.


3. ქალაქ ბოლნისის ქუჩების ძველი ფასადების აღდგენა 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე არათუ არ მიმდინარეობდა, დაგეგმილიც კი არ იყო. წინა ხელისუფლებას ამ საკითხზე მომზადებული აქვს იმ რეაბილიტირებული მხოლოდ ერთი კვარტლის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების აზომვითი ნახაზები და ისიც ისეთი დაბალი დონის შესრულებით, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2015 წელს დაწყებული ისტორიული უბნების პასპორტიზაციის პროცესში მუშა დოკუმენტადაც არ გამოადგათ და მათ მიერ განხორციელდა და ეხლაც მიმდინარეობს ახალი და სრულყოფილი დოკუმენტების შექმნა და ეტაპობრივად ხორციელდება ქალაქ ბოლნისის ისტორიული გერმანული სახლებისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება.

ილუსტრაციისათვის წარმოგიდგენთ წინა ხელისუფლების დროს დაწყებული უბნის რეაბილიტაციის სურათს, სადაც მწვანე ჩარჩოთი აღნიშნულია მოქმედი სპორტსკოლის შენობა (ყოფილი

კირხე), ყვითელ ჩარჩოში მონიშნულია ახლად მოწყობილი ქვაფენილის საფარი, ლურჯი ხაზი აღნიშნავს მიწისქვეშა კომუნიკაციებს, წითელი ხაზები ჩვენს მიერ განხორციელებული ცვლილების შემდეგ ქვაფენილის საფარის გარეთ გაყვანილ მიწისქვეშა კომუნიკაციებს, რომლებზეც შემდეგ მოხდა ახალი კომუნიკაციების დაერთება და მიმდებარე ქუჩების რეაბილიტაციის დაწყება.

პატივისცემით,

დავით შერაზადიშვილი



გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა